საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2018 წლის 3 ოქტომბერი № 197

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2018 წლის 7 სექტემბრის №181
ბრძანებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევო კოდექსი" 50-ე და 51-ე მუხლების, ასევე, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტის და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულების მე-5 მუხლის 5.3.2. ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2018 წლის 7 სექტემბრის №181 ბრძანებაში შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილება, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   "1. 2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველი და მე-2 სატელევიზიო არხების, ასევე რადიო FM 102.4 არხის ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ტარიფები განისაზღვროს თანდართული სახით. ფასიანი დროის ტარიფი კვალიფიციური და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის ერთნაირია."

2. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2018 წლის 7 სექტემბრის №181 ბრძანებას დაემატოს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული დანართი - "მე-2 არხზე მაუწყებლის მიერ გამოყოფილი, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის შესახებ ინფორმაცია".

3. წინამდებარე ბრძანება ძალაშია 2018 წლის 3 ოქტომბრიდან და მოქმედებს 2018 წლის 28 ოქტომბრამდე.

დანართი 1 ფურცლად

გენერალური დირექტორი ვასილ მაღლაფერიძე

მე-2 არხზე მაუწყებლის მიერ გამოყოფილი, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის შესახებ ინფორმაცია

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო (პოლიტიკური) ფასიანი რეკლამის განთავსებისთვის საეთერო დრო გამოყოფილია 2018 წლის 4 ოქტომბრიდან 2018 წლის 28 ოქტომბრამდე

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2 არხზე ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი საეთერო დროის ხანგრძლივობა, ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის შეადგენს 1 წუთს.

ფასი მოცემულია ლარში და ითვალისწინებს დღგ-ს.

სარეკლამო დროის ტარიფი:

2 არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია *(1 წთ. ფასი ლარებში) დღგ-ს ჩათვლით*	
		გადაცემამდე	გადაცემაში
18:00-00:59	ორშაბათი - კვირა	2 000	2 000
01:00-02:00	ორშაბათი - კვირა	350	350

„3“ ოქტომბერი 2018 წ.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი

გენერალური დირექტორი

ვასილ მაღლაფერიძე _____

204853163